

მწვანე ალტერნატივის შენიშვნები და კომენტარები

თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროექტის საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

11 მარტი, 2014 წ.

ქვემოთ წარმოგიდგენთ შენიშვნებსა და კომენტარებს თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ გზმ ანგარიშში საკმაოდ კარგადაა განხილული არაერთი საკითხი (მაგალითად, გეოლოგიური ნაწილი, ბიოლოგიური გარემო, ხმაურის გავრცელება და ა.შ.), თუმცა, ამავდროულად, დოკუმენტში არასრულფასოვნადაა განხილული რეალურად მნიშვნელოვანი საკითხებიც - ნაწილი ძალზე ბუნდოვნადაა წარმოდგენილი, ნაწილი კი, საერთოდ უგულვებელყოფილია. თვალსაჩინოებისათვის, რამოდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

1. გზმ ანგარიშში ზედაპირულადაა განხილული ზემოქმედება გზის მიმდებარე დასახლებულ არეალებზე - მნიშვნელოვნება, მასშტაბი და ა.შ.; შესაბამისად, არაა დადგენილი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

2. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ზემოქმედება მიწის საკუთრებისა და სარგებლობის უფლებებზე, წარმოდგენილია ნახევარ გვერდზე სულ რამოდენიმე წინადადებით 6.11.2.1 ქვეთავში („ზემოქმედება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე“). ამ ქვეთავში მოცემული ინფორმაცია ძალზე ზოგადი და მწირია. ქვეთავში ნათქვამია, რომ *„მოსახლეობის კუთვნილი მიწების ნაკვეთების დაზიანება მოსალოდნელია სოფ. ბოდავის ტერიტორიაზე, სადაც პროექტის გავლენის ქვეშ მოექცევა 7-8 ლჯახის კუთვნილი მიწის ნაკვეთები“*. ამასთან, არ არის განხილული ეკონომიკური განსახლების ისეთი დეტალები, როგორცაა, მაგალითად, ზეგავლენის ქვეშ მოყოლილი ტერიტორიების სამართლებრივი სტატუსი (რეგისტრირებული/არარეგისტრირებული საკუთრება), სანაცვლო მიწით ჩანაცვლების შესაძლებლობა, კომპენსაციის ოდენობის დადგენის მეთოდოლოგია და სხვ.

3. გარკვეულწილად ბუნდოვანია 4.2 ქვეთავი „საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის პროექტის ალტერნატივები“. ქვეთავის დასაწყისში ნათქვამია, რომ *„პროექტირების საწყის ეტაპზე შერჩეულ იქნა 4 ძირითადი ვარიანტი“*. შემდეგ კი, მოცემულია, რომ გარკვეული მოთხოვნების გათვალისწინებით *„საუკეთესო ვარიანტებია მესამე და მეოთხე ალტერნატიული ვარიანტები, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ძალზე მაღალია გარემოზე ზემოქმედების რისკები, კერძოდ...“* და ამის შემდეგ, მოცემული წინადადების ასახსნელად განხილულია რატომღაც მეორე და მესამე ალტერნატივები.

ასევე გარკვეული სახის დაბნეულობას იწვევს სახიდე გადასავლელთან დაკავშირებული საკითხიც. ამავე ქვეთავში ნათქვამია, რომ პროექტირების ეტაპზე უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატიულ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც *„ახალი მარშრუტის დერეფნის სიგრძე გრძელდება 290 მ-ით, ეწყობა 4 ახალი სახიდე გადასასვლელი“*. მაშინ, როცა გზმ ანგარიშის სხვა ნაწილში საუბარია მხოლოდ ორი ახალი სახიდე

გადასასვლელის მშენებლობაზე. საბოლოოდ გაურკვეველია, რამდენი ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობაა პროექტით განსაზღვრული.

4. გზმ ანგარიშის 3.1 ქვეთავში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ „გზის ცალკეულ უბნებზე მიწის ვაკისი მკვეთრად შევიწროვებულა და მათი გაგანიერების მიზნით საჭიროა მთის ფერდობის მხარეს შეჭრა“. წარმოდგენილი დოკუმენტში, საერთოდ არ არის განხილული ალტერნატივები თავად გაფართოების ფარგლებში, ანუ გზის მარჯვნივ, მარცხნივ ან ორივე მხარეს გაგანიერების ვარიანტები და ამ ვარიანტებთან დაკავშირებული ზემოქმედებები, რაც მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გზის რეკონსტრუქციის მსგავსი პროექტების განხორციელებისას.

5. იმის გათვალისწინებით, რომ დაგეგმილია ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა მდ. სეროდინზე, დოკუმენტში განხილული უნდა იყოს ამ მდინარეში გავრცელებული იხტიოფაუნა, მასზე შესაძლო ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები; გზმ ანგარიში საერთოდ გვერდს უვლის იხტიოფაუნასთან დაკავშირებული საკითხს.

ასევე, ძუძუმწოვრების მსგავსად, მცენარეებთან, ფრინველებთან და თევზების სახეობებთან მიმართებაშიც უნდა იქნეს განხილული წითელი ნუსხისა და ენდემური სახეობები. ეს შესაძლებელს გახდის, უკეთ შევასაღეს პროექტის ზემოქმედება საპროექტო (და მიმდებარე) ტერიტორიაზე არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე.

6. გზმ ანგარიშში არაა წარმოდგენილი სამშენებლო ბანაკების ზუსტი განთავსების ადგილები. დოკუმენტის 3.3 ქვეთავში წარმოდგენილია მხოლოდ სამშენებლო ბანაკების განთავსების სავარაუდო ადგილი. ამავე, ქვეთავში ნათქვამია, რომ „კონტრაქტორმა უნდა განსაზღვროს სამშენებლო ბანაკის მანქანა-დანადგარების განთავსების მოედნების ადგილმდებარეობა და მიიღოს ნებართვა მის გამოყენებაზე სახელმწიფოსაგან“. შემდეგ კი, გვ. 26 ასევე, მოცემულია სამშენებლო ბანაკის განთავსების სავარაუდო გეგმა.

7. ნარჩენების მართვის საკითხი მეტად ზედაპირულადაა წარმოდგენილი. 6.9 ქვეთავში მოცემულია მხოლოდ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების ადგილები და ნათქვამია, რომ მისი გატანა მოხდება თიანეთის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე. ხოლო სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ „ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 3 დღეში ერთხელ. ნარჩენების გაუვნებლობა, უტილიზაცია, განთავსება შესრულდეს ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორების მიერ“. თუმცა, ამის შემდეგ, არაა მოცემული, სად მოხდება მისი საბოლოო განთავსება. ამავე ქვეთავის ბოლოს მოცემულია, შემარბილებელი ღონისძიებები, რომელთა შორის, შემარბილებელ ღონისძიებად განხილულია შემდეგი: „სახიფათო ნარჩენების გატანა შემდგომი მართვის მიზნით მოხდეს მხოლოდ ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორის საშუალებით“.... ამავე ქვეთავის ბოლოს, გვ. 124 ნათქვამია, რომ რეაბილიტაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის სქემა ასევე წარმოდგენილია დანართი #2-ში. ზემოხსენებული დანართიც უნდა ითქვას, რომ მეტად ზედაპირულია და არც აქ არ არის მოცემული, სახიფათო ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილები (გარდა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა).

არასათანადოდაა განხილული სამშენებლო ნარჩენების, კერძოდ, რეკონსტრუქციის შედეგად მოხსნილი ზედაპირის განთავსება-გამოყენების საკითხი. ჩანაწერი - „დიდი ალბათობით დაექვემდებარება გადამუშავებას“ აბსოლუტურად მიუღებელია გზმ ანგარიშისთვის. ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის ასე ზედაპირულად განხილვას, ჩვენ ანგარიშის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებად განვიხილავთ (განსაკუთრებით, თუ გავიხსენებთ სხვა პროექტებს, როდესაც მოხსნილი ზედაპირი დიდი ხნის

განმავლობაში საპროექტო ტერიტორიების მიმდებარე მიწებზე თავსდება და აუვარგისებდა ნაყოფიერ მიწებს).

8. რაც შეეხება დასაქმებას და მასთან დაკავშირებულ ზემოქმედებას, აღნიშნულ საკითხს ვხვდებით 4.4 და 6.11.2.2 ქვეთავებში. დოკუმენტის 4.1 ქვეთავში, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, დასახელებულ პოზიტიურ შედეგებს შორის დასახელებულია: „მნიშვნელოვანი მაღალანაზღაურებადი დროებითი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მაღალი ალბათობა“. 126-ე გვერდზე კი, აღნიშნულია, რომ „რეაბილიტაციის ფაზაზე სულ დასაქმდება 100 ადამიანი. დასაქმებულთა შორის აბსოლუტური უმრავლესობა იქნება ადგილობრივი, ხოლო მცირე ნაწილი მოწვეული იქნება თბილისიდან ან რეგიონებიდან“. ეს ინფორმაცია მეტად ზედაპირულია და არ ხდის ნათელს, იღებს, თუ არა კომპანია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ვალდებულებას და თუ იღებს, რამდენი იქნება ადგილობრივთა წილი დასაქმებულთა შორის.